გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

20 მაისი 2024

N 2-512

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სახანძრო სისტემებზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2024 წლის 15 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „კლიმატმა“ და შპს „სახანძრო სისტემებმა და ითხოვეს შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანის (HFC-227ea) 240 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „სახანძრო სისტემებზე“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „კლიმატის“ და შპს „სახანძრო სისტემები“-ს 2024 წლის 15 მაისის N13370 განცხადებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სახანძრო სისტემებზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405581106) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000052) შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანი (HFC-227ea) – 240 კგ;

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;

3. შპს „სახანძრო სისტემებმა“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კლიმატს“ და შპს „სახანძრო სისტემებს“;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სახანძრო სისტემები“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე